

კავკასიის უნივერსიტეტი

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

ბაკალავრიატურული საკითხის გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში

ავტორი: სალომე მოდებაძე

კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიის სკოლა, IV კურსი

ხელმძღვანელი: ელიზა ბასილაძე

თბილისი, 2012

შინაარსი:

შესავალი	4
ლიტერატურის მიმოხილვა	6
კვლევის მეთოდი	11
შედეგები	13
დასკვნა	25
ბიბლიოგრაფია	28

აბსტარქტი:

კვლევა ეხება ქართულ ბეჭდურ მედიაში ბავშვთა დანაშაულის საკითხის გაშუქებას. საკვლევ პერიოდად აღებულია 2011-2012 წლის სექტემბერი – თებერვლის მონაცემთი. საკვლევ ობიექტს წარმოადგენს 6 ქართული ყოველდღიური და ყოველკვირეული გაზეთი, კერძოდ – “რეზონანსი”, “ალია”, “ასავალ-დასავალი”, “ქრონიკა”, “24 საათი” და “ქვირის პალიტრა”. კვლევის შედეგად, პროცენტული მაჩვენებლის გამოყვანისა და კონკრეტული მაგალითების ჩვენების საფუძველზე დადგინდა, რომ სტატიების უმრავლესობაში საქმე გვაქვს როგორც ჟურნალისტების მხრიდან გამოვლენილ არაპროფესიონალიზმთან, ასევე ბავშვთა უფლებების უხეშ დარღვევასთან. კვლევა ეფუძნება კონტენტ-ანალიზის მეთოდს, რომლის მეშვეობითაც მოხდა საკვლევ სტატიებზე დაკვირვება და მათი ანალიზი.

შესავალი

ქართული მედია დიდი ხანია რაც მწვავე დებატებისა და განხილვის საგანია. როგორც კავკასიური კვლევის რესურსების ცენტრის მიერ 2009 წელს ჩატარებულმა აკვლევამ აჩვენა, პრესის თავისუფლებას საქართველოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს რეგიონში, თუმცა ყველა აღიარებს იმას, რომ ამ სფეროში პრობლემები კვლავ გადაუჭრელად რჩება. პრეზიდენტმა სააჯაშვილმა 2012 წლის თებერვალში პოლანდიაში, მაასრიხის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსელისას განცხადა, რომ ქართველ უურნალისტიკაში შეიმჩნევა პროფესიონალიზმის ნაკლებობა და რომ მედია ქვეყანაში ერთ-ერთ სირთულედ რჩება. (CRRC, 2009).

მართალია, როგორც ქართულ სამაუწყებლო, ასევე ბეჭდურ მედიაში დღეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია განსხვავებული შეხედულებებისა და პოზიციების მიწოდება, თუმცა ამისდა მიუხედავად ხშირად ქართველ უურნალისტებს ბრალს დებენ პროფესიონალზის ნაკლებობაში და იმაში, რომ ისინი რომელიმე კონკრეტული პოლიტიკული ჯგუფის ინტერესებს ემსახურებიან და არა საზოგადოებისას. (CRRC, 2009). ცალკე პრობლემად რჩება ბავშვთა საკითხის გაშუქება ქართულ მედიასივრცეში, რასაც ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევა ახლავს თან.

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა-“ბავშვთა დანაშაულის საკითხის გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში” მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. ის დაეხმარება ქართული მედიის წარმომადგენლებს, რათა გაანალიზონ სიტუაცია და ყველა ის პრობლემური საკითხი, რაც ამ თემის გაშუქებას ახლავს თან. ამით გარკვეულწილად მოხდება მათი უკეთესად ინფორმირება საკითხის პროფესიული და ეთიკური გაშუქების თვალსაზრისით.
2. არასრულწლოვან ბავშვები ისეთ ასაქში არიან, რომ ემოციებმა და ტრამვებმა შესაძლოა მათ მომვალ განვითარებაზე მნიშვნელოვნად იმოქმდოს, მედია შესაძლოა ერთ-ერთი ასეთი უარყოფითი ფაქტორი იყოს. (დუბლახი, 2009;

ლივინგსტონი, 2002). თუ კი მოხდება ბავშვთა დანაშაულის საკითხების გაშექმნასთან დაკავშირებით სიუტუაციის ანალიზი და შემდეგ არსებული ვითარების გაუმჯობესება, ეს თავიდან აგვაცილებს ბავშვების ნორმალურ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაძლო საფრთხეებს.

ჩატარებული კვლევა ძირითადად ეფუძნება კონტენტ-ანალიზის მეთოდს. საკვლევ პერიოდად აღებულია 6 თვიანი მონაკვეთი, კერძოდ - 2011-2012 წლის სექტემბერიდან თებერვლის ჩათვლით ყველა ის სტატია, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხს ეხებოდა და რომლებიც გამოქვეყნდა საქართველოში 6 ყველაზე მაღალრეიტინგულ და გაყიდვად ყოველდღიურ და ყოველევირეულ გაზეთებში, კერძოდ კი- "რეზონანსში", "ალიაში", "ასავალ-დასავალში", "ქრონიკაში", "24 საათხა" და "კვირის პალიტრაში". ქვეთვიანი მონაკვეთი აღებულია იმიტომ რომ კვლევა საფუძვლიანი ყოფილიყო და მომხდარიყო სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი. საკვლევი სტატიების რაოდენობამ შეადგინა 72 და შესაბამისად მათი ანალიზის შედეგად მოხდა ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების გაანალიზება, პროცენტული მაჩვენებლის გამოყვანა და მაგალითების ჩვენება, რაც უფრო მეტად დამაჯერებლს გახდიდა კვლევას.

საკვლევი თემა შედგება 4 ძირითადი თავისაგან: 1. ლიტერატურის მიმოხილვა-სადაც დეტალურად არის განხილული ყველა ის კანონი, პროფესიული სტანდარტი თუ ეთიკის კოდექსი, რაც საქართველოში ბავშვთა უფლებებს არეგულირებს, როდესაც ისინი მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში ექცევიან. 2. კვლევის მეთოდი - სადაც განხილულია ჩემ მიერ არჩეული კვლევის ძირითადი მეთოდი - კონტენტ ანალიზი და ასევე გაანალიზებულია მისი გამოყენებისას არსებული როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. 3. კვლევის შედეგები- რომელიც ეფუძნება 8 ძირითად პრობლემას, რაც კვლევისას გამოიქვეთა. თითოეული პრობლემების შესაბამისად გამოყვანილია პროცენტული მაჩვენებელი და მოყვანილია მაგალითები, რაც ამყარებს შედეგებს და მეტ თვალსაჩინოებას მატებს მათ. 4. დასკვნა-სადაც შეჯამებულია კვლევის შედეგები და უფრო ღრმად არის გაანალიზებული არსებული სიტუაცია ბავშვთა დანაშაულის საკითხის გაშექმნის თვალსაზრისით.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით მედიის წარმომადგენელთა მხრიდან დიდი ხანია მიმდინარეობს ღია, ფორმალური და არაფორმალური დისკუსიები, თუმცა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ერთიანი ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა მედიის წარმომადგენელი ქურნალისტისა თუ რედაქტორისთვის. მართალია, საქართველოში ბავშვთა საკითხების გაშუქებას დღეისათვის რამდენიმე იურიდიული დოკუმენტი არეგულირებს, თუმცა ბოლო დროს ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ მედიაში არასრულწლოვანთა საკითხის გაშუქება ცივილიზებული საზოგადოების ნორმებს ცდება (ქორიძე, 2008; რადიო თავისუფლება, 2011).

2011 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არ არსებობს ქურნალისტებისა და მედია ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ შეთანხმებული ერთიანი პროფესიული სტანდარტი და ხშრად ირდვევა არასრულწლოვანთა უფლებები როგორც სამაუწყებლო, ასევე ბეჭდურ მედიაში. კვლევამ ცხადყო, რომ ქართულ მედიაში არსებობს ბავშვის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც ხდება მათთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება (სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2011). სწორედ იმავეს მოწმობს ზეიად ქორიძის მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევა- “ ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიქა საქართველოში”, რომელიც საერთო ეროვნული და რეგიონული საინფორმაციო საშუალებებისა და პრესის მონიტორინგს მოიცავდა.

ზეიად ქორიძე:

“ყველა რეპორტაჟი დანაშაულის შესახებ, გაზეთში გავა იგი, ტელევიზიით თუ რადიოთი, უნდა ასახავდეს სრულ სურათს: უმრავლეს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას - ყოველთვის, ქურნალისტები ინფორმაციის უპირობო წყაროდ იყენებენ პოლიციის ოპერატორულ ინფორმაციას ან სასამართლო სხდომის ოქმს. მხოლოდ ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობა, როდესაც საქმე არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულს შეეხება, ოდნავ პრიმიტიულია. უფრო მეტი ინფორმაციის წყაროა მოსაძებნი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გაშუქება დაცლილი უნდა იყოს სკანდალურობისგან. ”.

საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბავშვთა უფლებების დაცვის ზოგად ჩარჩოს, არის „ბავშვის უფლებათა კონცენტრი“. საქართველო კონვენციის წევრი 1994 წელს გახდა, რის საფუძველზეც ქვეყანამ აიღო პასუხისმგებლობა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტს ანგარიში წარუდგინოს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ (იუსტიციის სამინისტრო, 2001). კონვენცია ასევე ეხება მედიის მხრიდან ბავშვთა უფლებების გაშუქებას და ის მიჩნეულია მინიმალურ სტანდარტად, რომელიც სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა იმ პასუხისმგებელი მედიასაშუალების ხერიდან, რომელიც ბავშვთა საკითხებს აშექებს (UNICEF, 2011). მუხლი 16:

„არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კროესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკნანო ჩარევის, ან მისი დირსებისა და რეპუტაციის უკანონი ხელყოფის ობიექტი.“

მუხლი 40:

„ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალი ედება მის დარღვევაში , უნდა პქონდეს გარანტია მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემისა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე“.

საქართველოს კანონმდებლობით მედიის წარმომადგენელთა საქმიანობა და მათი მხრიდან ბავშვთა საკითხების გაშექება არ რეგულირდება კანონის დონეზე, ისინი მხოლოდ კანონქვემდებარე აქტს ეფუძნება, ხოლო რეაგირების მექანიზმი გრცელდება მხოლოდ მაუწყებლებზე (რადიო, ტელევიზია, მათი კუთვნილი ვებგვერდები), ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ტიპის შეზღუდვა არ ეხება ბეჭდურ მედიას. მხოლოდ მედიასაშაულებების მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი ქვეყანაში არსებულ ვითარებას ვერ ცვლის და ქართველი უურნალისტების მხრიდან ბავშვთა უფლებების დარღვევა ძალიან ხშირად ხდება განხილვისა და კრიტიკის საგანი, რასაც ბოლო დროს ჩატარებული კოლექტიც ადასტურებს (სამოქალაქო განვითარების ისტორიუმი, 2011).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის დადი თხევაშვილის
აზრით, არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევას ქართულ მედიაში ძირითადად
2 მიზეზი განაპირობებს:

1. “**უურნალისტებმა და რედაქტორებმა არ იციან ზუსტად ბავშვთა საკითხის
გაშუქების ის ჩარჩო, რომელიც ერთი მხირე ეფუძნება საერთაშორისო
გამოცდილებას და მეორე მხირი, განვითარების საქართველოს
კანონმდებლობასა და ეთიკის კოდექსებში.”**
2. “**ქართველი მედიის წარმომადგენლები ძალიან ხშირად ავლენენ
არაპროფესიონალიზმს, რასაც საბოლოოდ ბავშვთა უფლებები ეწირება.”**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიმ 2002 წლის 23 დეკემბერს
მიიღო “მაუწყებელთა ქცევის კოდექსი”, რომელიც მიღებულია “მაუწყებლობის
შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ
პროგრამის მომზადებისა და გადაცემების პრინციპებს, წესებსა და
სახელმძღვანელო რეკომენდაციებს. მართალია, კოდექსი ნორმატულ აქტს
წარმოადგენს, თუმცა, ის თავისი შინაარსით ეთიკური სტანდარტია და შესაბამისად
მისი დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებული პირი სასამართლოში ვერ
იჩივლებს. “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” მე-11 თავი უმუალოდ
“არასრულწლოვანთა დაცვას ეხება მედიაში”, 44-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტში
ვკითხულობთ (მედიის განვითარების ფონდი, 2002) :

**“მაუწყებელმა უნდა დაიცვას არასრულწლოვან ეჭვმიტანილთა,
ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და
დაზარალებულთა (განსაკუთრებით სქესობრივი თავისუფლებისა და
ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენ პირთა)
ანონიმურობა”.**

მიუხედავად იმისა, რომ “მაუწყებელთა ქცევის კოდექსში” ვალქა გამოყოფილი
მუხლი არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ, ნინო დანელიას
კვლევამ- “ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში”,
რომელიც მან 2011 წელს ჩაატარა, აჩვენა რომ ბავშვთა უფლებები ირღვევა
საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების გამოშევების 50%-ში და
ტელეკომპანია “იმედის” -60%-ში. აღმოჩნდა, რომ ბავშვთა საკითხების გაშუქების
სტანდარტი უმეტესად ირღვევა მაშინ, როდესაც შექდება არასრულწლოვანის

კონკრეტული პრობლემური შემთხვევები. დარღვევას კი უმეტესად იწვევს ფაქტისა და კომენტარის აღრევა, არასრულწლოვნების იდენტიფიკაცია და მათი პირადი ცხოვრების ხელყოფა ყოველგარი აუცილებლობისა და საზოგადოებრივი ინტერესის გარეშე (დანელია, 2011).

ბავშვთა უფლებებს მედიაში ასევე იცავს 2001 წლის 28 სექტემბერს პარლამენტის მიერ მიღებული ქანონი „ მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ ”. ქანონის მე-5, 6, 7, 8, 9, 10 მუხლები ბავშვებს სამაუწყებლო მედიის მავნე ზეგავლენისაგან იცავს, და მასში შედის ფილმებისა და რეკლამის ქატეგორიების შეხდევა, თუმცა ქანონიდან მთლიანად იქნა ამოღებული ყველა ის მუხლი, რომელიც არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის ითვალისწინებს მედია საშუალებებში და ის გადავიდა „ მაუწყებლობის შესახებ ქანონში ”, სადაც გაქვთდა დათქმა, რომ არასრულწლოვანთა დაცვის საკითხი მოწესრიგდება „ მაუწყებელთა ქცევის კოდექსში ”, – რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ქანონქვემდებარე აქტია, თავისი შინარსით ეთიქური სტანდარტებს წარმოადგენს და არა - ქანონს.

2007 წლის ივლისში სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა ქანონპროექტი, რომლის მიხედვითაც მედია-საშუალებებსა თუ სხვა პირებს, რომლებიც არასრულწლოვანთა უდანაშაულობის პრეზუმციას დაარღვევდნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ- ფიზიკურ პირებს 5 000 ხოლო იურიდიულ პირებს 10 000 ლარის ოდენობით. ქანონპროექტის თანახმად, „ მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ ქანონს ” უნდა დამატებოდა VI თავი – „ არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის წესების შესახებ ”, კერძოდ:

„ დაუშვებელია არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევა ისეთი დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის მედიაში გაშუქებისას, როდესაც არასრულწლოვანი წარმოადგენს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს, დაზარალებულს, მოწმეს, პირს, რომელსაც არ გააჩნია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტატუსი, თუმცა პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება იმ დანაშაულს, რაც წარმოადგენს მედიის გამოხატვის საგანს ”.

კანონპროექტი პარლამენტმა არ დაამტკიცა, და მიზეზი, როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი თამარა ქორძაია ამბობს, მისთვის დღემდე უცნობია.

ვინაიდან არასრულწოვანთა უფლებების დაცვას უველა ტიპის მედიაში ქართული კანონმდებლობა არ არეგულირებს, მათი რეგულირება პროფესიული სტანდარტებსა და ეთიკის ნორმების დონემდე დადის. მედია ეთიკა მოიცავს პროფესიონალების მიერ შემუშავებული პრინციპებისა და წესების ერთობლიობას, რათა მედია უკეთ ემსახუროს თუ მოსახლეობის უველა ჯგუფს არა, უმეტესობას მაინც. მედია ეთიკას საერთო არ აქვს არც კანონმდებლობასთან და არც მორალთან. აქ საქმე ეხება არა პატიოსნებასა და თავისუანობას, არამედ მთავარი სოციალური ფუნქციის შესრულებს - საზოგადოები სამსახურს. (თავისუფლების ინსტიტუტი, 2004).

სწორედ ამიტომ საქართველოში მედიის პროფესიული სტანდარტის დაცვისა და საზოგადოების წინაშე მედიის ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციამ თავისუფლების ინსტიტუტმა 2002 წლის მაისში საფუძველი ჩაუყარა “მედიის პროფესიულ სტანდარტს”, რომლის დაცვას მედია საბჭო ახორციელებს. “მედიის პროფესიული სტანდარტის” განვითარება “თავისუფლების ინსტიტუტის” აქტიური მუშაობის შედეგია, რომელიც ემყარება უკროპული ქვეყნების, ამერიკასა და კანადის გამოციდლებას (ქორიძე, 2008; მედიის განვითარების ფონდი, 2002). ერთ-ერთი მუხლი არასრულწლოვნების დანაშაულის საკითხის გაშექებას ეხება:

“ინფორმაციამ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ არ უნდა შეაფეროს და გაართულოს მისი საზოგადოებრივი რეაბილიტაცია. ასეთ შემთხვევებში არ უნდა იყოს შესაძლებელი ვინაობის იდენტიფიცირება (თუ საქმე რეციდივს არ ეხება).”

2009 წელს 176-მა ქართველობა ქურნალისტმა სხვადასხვა მედია საშუალებიდან (ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია) ხელი მოაწერა ეთიკის ქარტიას, რომელიც უკროპის საბჭოს “ადამიანის მირითად უფლებათა და თავისუფლებათა უკროპული კონვენციის” მუ-10 მუხლსა და ქურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ “ქურნალისტების ქვევის პრინციპების დეკლარაციას” ეფუძნება. ეს პრინციპები პროფესიული ქვევის სტანდარტად დამტკიცირდა იმ

უურნალისტებისათვის, რომლებიც მოიპოვებენ, გადასცემენ და ავრცელებენ ინფორმაციასა და კომენტარებს მიმდინარე მოვლენებზე. ეთიკის ქარტიის მე-8 მუხლი ბავშვებთანდ აკავშირებული საკითხების, მათ შორის დანაშაულის გაშუქებას ეხება (საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტია, 2009):

"უურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. უურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება".

უურნალისტური სტანდარტების შესრულებასთან ერთად მედიის წარმომადგენლების მხირდან მნიშვნელოვანია ეთიკის პრინციპების დაცვაც, რათა საზოგადოებას არ დაეკარგოს უფლება მიიღოს სანდო და გადამოწმებული ინფორმაცია.

(თავისუფლების ინსტიტუტი, 2003).

კვლევის მეთოდები

იმისათვის რომ პასუხი გასცემოდა ჩემს საქვლევ შეკითხვას- **ბავშვთა (18 წლამდე)** დანაშაულის საკითხის გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში, გამოვიყენე ქონტენტ-ანალიზის მეთოდი.

გარდა ამისა ავიდე ინტერვიუ ორი მედიაქსპერტისგან, რომელთაც უშეალო შეხება აქვთ ბავშვთა დანაშაულის საკითხის გაშუქებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან. ინტერვიუს დამხარებით, კვლევა უფრო მეტად სრულყოფილი გახდა და შესაძლებლობა მომეცა, ჩემი შედეგები არგუმენტებით გამემყარებინა.

1. ქონტენტ-ანალიზი

საკვლევ პერიოდად ავიდე 6 თვიანი მონაკვეთი, კერძოდ- 2011-2012 წლის სექტემბერიდან თებერვლის ჩათვლით ყველა ის სტატია, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხს ეხებოდა და რომლებიც გამოქვეყნდა საქართველოში 6 ყველაზე მაღალრეიტინგულ და გაყიდვად გაზეთებში, კერძოდ

კი- "რეზონანსში", "ალიაში", "ასავალ-დასავალში", "ქრონიკაში", "24 საათსა" და "კვირის პალიტრაში" და ჩაგატარე თოთოეული დასახელებულ გაზეთში იმ სტატიების კონტენტ ანალიზი, რომლებიც უშუალოდ ჩემს საქვლევ თემას ეხებოდა. დავაკვირდი ექვსი თვის განმავლობაში თითოეულ გაზეთში არასრულწლოვანთა დანაშაულზე დაწერილ სტატიებს და მოვახდინე მათი როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივ ანალიზი. 2011-2012 წლის სექტემბერი-ოქტომბერველის მონაკვეთი ავირჩიე იმიტომ, რომ უკანასკნელი კვლევა ბავშვთა საკითხების გაშუქებასთანდ დაკავშირებით ქართულ ბეჭდურ მედიაში ზეიად ქორიძემ 2008 წელს ჩაატარა, ამიტომ ჩემთვის საინტერესო იყო იმის გარევევა, თუ როგორ შეიცვლა ამ მხრივ სიტუაცია ორივე- როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური თვალსაზრისით.

კონტენტ ანალიზის მეთოდის უპირატესობა იყო ის, რომ კვლევის ამ მეთოდმა მომცა იმის საშუალება, რომ ერთდორულად მიმედო პროცენტული მაჩვენებლები , გამეანალიზებინა ის ძირითადი ტენდენციები თუ დარღვევები, რასაც ქართულ ბეჭდურ მედიაში ვხვდებით ბავშვთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას და მომეულანა კონკრეტული მაგალითები. 6 თვიანი საკვლევი პერიოდში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა, რომელიც უშუალოდ ბავშვთა დანაშაულის საკითხს შეეხებოდა იყო 72, რაც საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მომხდარიყო სიტუაციის შემაჯამებელი ანალიზი. ერთადერთი უარყოფითი მხარე, რაც კვლევის ამ მეთოდს შესაძლოა პქონოდა არის ის, რომ კონტენტ- ანალიზის მეთოდი საქმაოდ დიდ დროს მოითხოვს (რობერტი, 2007).

იმისათვის რომ საკითხი უფრო დრმად გამეანალიზებინა და შემქენავლა არსებული სიტუაცია, ავიდე 2 ინტერვიუ: პირველი- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორისაგან, დალი თხევაშვილისგან, ხოდო მეორე- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელისგან თამარ კორძაიასგან, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ბავშვთა დანაშაულის გაშექებასთან დაკავშირებულ საკითხებთან. ინტერვიუების დახმარებით საშუალება მომეცა უფრო ზუსტად გამეგო, თუ რა პრობლემები არსებობს ქართულ მედიაში, როცა საქმე არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებას ეხება. თამარ კორძაიასგან აღებულმა ინტერვიუმ მომცა იმის საშუალება, რომ გავრკვეულიყავი, თუ როგორ რეგულირდება საქართველოში ბავშვთა უფლებები, როცა ისინი პრესისა და სამაუწყებლო მედიის უურადღების

ქაშ ექცევიან. ინტერვიუების ჩატარებისას გამოვიყენე ნახევრად სტრუქტურებული (semi -structured) ინტერვიუს მეთოდი, ანუ მქონდა წინასწარ ჩამოყალიბებული კითხვები. ინტერვიუს შემდეგ მოვახდინე მათი ანალიზი და იხინი გამოვიყენე კლევაში, რათა ჩემ მიერ მიღებული შედეგები ექსპერტების არგუმენტებითაც გამემუჯარებინა. (ბელი, 2005; რობსონი, 2007).

ინტერვიუების აღებას პქონდა როგორც თავისი დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ინტერვიუს უპირატეოსობა იყო ის, რომ პირისპირ საუბრისას მიღიდე ბევრ ისეთ კითხვაზე პასუხი, რომელიც უშაულოდ საუბრისას წარმოიშვა და რომლებზეც პასუხის მიღება შეუძლებელი იქნებოდა წერილობითი გამოყითხვისას, გარდა ამისა, მქონდა იმის საშუალება რომ ჩაწერილი ინტერვიუები დეტალურად გამეანალიზებინა. თუმცა ინტერვუს, როგორც კვლევის მეთოდს თავისი უარყოფითი მხარეც შესაძლოა პქონოდა. ხშირად რესპონდენტებს ზუსუტად არ ახსოვთ კონკრეტული ფაქტები თუ მოვლენები, რამაც შესაძლოა გარკვეულწილად იმოქმედოს კვლევაში გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტეზე (ბერგერი, 2000; რობსონი 2007).

კვლევის შედეგები

აღნიშნული კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ შექდება ბავშვთა (18 წლამდე) დანაშაულის საკითხი ქართულ ბეჭდურ მედიაში. საკვლევ პერიოდად აღებულია 6 თვიანი მონაკვეთი, კერძოდ- 2011-2012 წლის სექტემბერიდან თებერვლის ჩათვლით უკედა ის სტატია, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხს ეხებოდა და რომლებიც გამოქვეყნდა საქართველოში 6 უკედაზე მაღალრეიტინგულ და გაყიდვად უოველდღიურ და უოველქირეულ გაზეთებში, კერძოდ კი- “რეზონანსში”, “ალიაში”, “ასავალ-დასავალში”, “ქრონიკაში”, “24 საათსა” და “კვირის პალიტრაში”.

ჩავატარე როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევა. რაოდენობრივმა კვლევის შედეგად გაირკვა, რომ:

ექვსი თვის განმავლობაში აღნიშნულ გაზეთებში სულ მოძიებულ იქნა 72 სტატია, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებას შეეხებოდა. 72 სტატიდან 30 სტატია (41.7 %) წარმოდგენილია მოქლე ნიუსის სახით და ექრდნობა ახალი ამბების სააგენტოების მიერ მოწოდებულ ცნობებს, ამ ნიუსის ტიპის სტატიებში ქონქრეტული გაზეთის ჟურნალისტი არანაირ მონაწილეობას არ იდებს და პირდაპირ აქვთ ნების ახალი ამბების სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ასეთი ტიპის ნიუსებს ბაილინიც შესაბამისი ახალი ამბების სააგენტოსი აქვთ.

30 სტატიიდან, რომლებიც მთლიანად ახალი ამბების სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზეა აგებული, 7 სტატია (23.3%) “ინტერპრესნიუსს” ექრდნობა, 6 სტატია (20%) სააგენტო “პირველს”, 3 სტატია (10%) “ჯი-ეიჩ-ენს”, 12 სტატია (40%) “ქავეას პრესს”, ხოლო 2 (6.7%) სტატია “აპსინ პრესს”.

დანარჩენი 42 სტატიის (58.3%) ავტორები გაზეთებში მომუშავე ჟურნალისტები თვითონვე არიან და სწორედ ისინი არიან ინფორმაციისა და ფაქტების ძიების პროცესში ჩართულნი. ზოგ შემთხვევაში მითითებულია სტატიის ავტორის ვინაობა, ზოგ შემთხვევებში კი თვითონ რედაქტორი იდებს სტატიის შინაარსზე პასუხისმგებლობას. კერძოდ- რაოდენობრივი კვლევის შედეგად გაირკვა რომ, 42 სტატიიდან, რომლებიც თვითონ ჟურნალისტების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ექრდნობა, 36 სტატიის ავტორთა ვინაობა მითითებულია სტატიის ბოლოს, ხოლო 6 სტატიაში არ არის მითითებული ავტორის სახელი და გვარი. ასეთ სტატიებს ვხვდებით მხოლოდ გაზეთ “24 საათში”. ყველა სტატიის ბოლოს, რომელიც გაზეთის ჟურნალისტების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ექრდნობა, წერია - “საკუთარი ინფორმაცია”. ამით, როგორც ჩანს, გაზეთი “24 საათი” თვითონ იდებს თავზე სარედაქციო პასუხისმგებლობას და მისგან ათავისუფლებს რომელიმე ქონქრეტულ ჟურნალისტს.

მასალების კვლევამ აჩვენა რომ გაზეთებში არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას ძირითადად ვხვდებით შემდეგი ტიპის პრობლემებს:

1. ხშირ შემთხვევაში უურნალისტი ეურდონობა მხოლოდ პოლიციის, შ.ს.ს-ს ან სამსამართლოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, როგორც ერთადერთ წყაროს და ტოვებს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს როგორიცაა იმის გარევევა, თუ რა მიზეზით ჩაიდინა (თუ ჩაიდინა) არასრულწლოვანმა დანაშაული და რა გარემოებაში.
2. ძალიან ხშირად დასახელებულია ბრალდებულ ან დაზარალებულ არასრულწლოვანთა ვინაობა, როცა გამოიქინა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და როცა ისინი სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ არიან დამნაშავედ მიწნეულნი.
3. რამდენიმე შემთხვევაში, თუ ეს არ არის ბრალდებული არასრულწლოვანის ვინაობა იდენტიფიცირებული, აღწერილია მისი საცხოვრებელი ადგილი, ქუჩა, სოფელი, რაც მისი ვინაობის ამოცნობის საშუალებას იძლევა
4. რამდენიმე სტატიაში ვხვდებით არასრულწლოვანი ბრალდებულის ან დაზარალებულის ფოტოსურათს.
5. სტატიები არ არის დაბალისებული, ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია მხელოდ ერთი მხარე და არ ჩანს მეორე მხარის პოზიცია. ასეთი ტიპის სტატიების უმრავლესობა მხოლოდ კომენტარზეა აგებული და იგრძნობა ფაქტების ნაკლებობა, რაც საბოლოოდ დასკვნის გამოტანის საშუალებას არ აძლევს მკითხველს.
6. რამდენიმე სტატიაში უურნალისტები ცდილობენ სენსაციურობა და სიმძაფრე შემატონ სტატას, რაც უფრო მეტად დრამატიზებულს ხდის ამბავს.
7. ხშირ შემთხვევაში სტატიაში აშეარად იგრძნობა უურნალისტის დამოქიდებულება, რაც მის მიერ გამოყენებული ეპითეტებიდან და შეფასებებიდანაც კარგად ჩანს.

8. რამდენიმე სტატიაში ვხვდებით განზოგადებულ ფრაზებს, რომელიც ნაკლებ სანდოობას ანიჭებს სტატიას.

(1). ექვსი თვის განმავლობაში არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხზე დაწერილი 72 სტატიიდან 20 სტატია (27.8%) მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის, შ.ს.ს-სა ან სასამართლოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და ცნობებზეა აგებული. ესენი ძირითადად არის მოკლე ნიუსის ტიპის სტატიები, რომლებიც ახალი ამბების სააგენტოების ინფორმაციას ეყრდნობა. სტატიებში ძალიან მოკლედ, რამდენიმე წინადადებით არის აღწერილი ჩადენილი დანაშაული, თუმცა ამ 20 სტატიიდან არც ერთ შემთხვევაში ქურნალისტი არ ცდილობს თავად გამოიძოოს ფაქტები, მთე უმეტეს მაშინ, როცა მკითხველისათვის პასუხაუცემები რჩება, არის თუ არა ბრალდებული ნამდვილად დამნაშავე.

მაგალითად, 2011 წლის 28 ოქტომბერს გაზეთ „24 საათის“ 244-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „**10-წლიანი პატიმრობა ქმრის მკვლელობისათვის**“. სტატიაში ქურნალისტი მთლიანად ეყრდნობა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, სადაც საუბარია 15 წლის ელენე ჯავახიას მიერ წეუბის დროს მეუღლისთვის სამზარეულო დანით მიუქნებული სასიკვდილო ჭრილობის შესახებ, თუმცა როგორც ქურნალისტი თავადვე წერს, ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს.

„პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ... საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში ბრალდებული გამართლებას ითხოვდა იმ მოტივით, რომ მეუღლის მკვლელობა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი მოგერიების მიზნით ჩაიდინა“.

ასეთი დასკვნა საქმარისი უნდა იყოს ქურნალისტისთვის რომ დაიწყოს ქურნალისტური გამომიება ამ დანაშაულის შესახებ, თუმცა ის მთლიანად ენდობა სასამართლოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და მკითხველს ტოვებს გაურკვევლობაში, არის თუ არა დამნაშავე 15 წლის არასრულწლოვანი ელენე ქმრის მკვლელობაში.

2011 წლის 4-5 ოქტომბრის გაზეთ „ალიაში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „**პოლიციამ ყაჩაღობაში ბრალდებული დააკავა**“. ინფორმაცია, მოწოდებულია

ახალი ამბების სააგენტოს „კავკას პრესის“ მიერ და რამდენიმე წინადაღებით მოგვითხრობს 1992 წელს დაბადებული არჩილ მენაბდის დაქავების შესახებ. თვითონ სააგენტო მთლიანად ეურდნობა შეს-ის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და ეურნალისტი საქმის გამოძიებაში არანაირ მონაწილეობას არ იღებს. ასევე სტატიაში იდენტიფიცირებულია არასრულწლოვანის ვინაობა, რომელიც ჯერ სასამართლოს მიერ დამნაშავედ არ რის მიჩნეული.

„როგორც კავკას პრესს შსს-დან აცნობეს, ბრალდებული არცილ მენაბდე გვიან დამით თავს ესხმოდა ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე სასურსათო მაღაზიებს და ცივი იარაღის გამოყენებით მოლარჯ-ოპერატორებს ყაჩაღურად სძალავდე სხვადასხვა რაოდენობის თანხას“.

გაზეთი რეზონანსი, 2011 წლის 30 ნოემბერი. -”შეუვარებულის მკვლელს 14 წელი მიუსაჯეს“.

„როგორც უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურიდან გვაცნობეს, დანაშაული 2011 წლის 18 სექტემბერს მოხედა. საჩხერის რაიონის სოფელ ლოდორას მცხვორებს თანასოფლელის მოკვლის განზრახვა მას შემდეგ მოუვიდა, რაც გაიგო, რომ იგი სხვა მამაკაცთან დაქორწინებას აპირებდა“.

(2). 6 თვის განმავლობაში არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ გამოქვეყნებული 72 სტატიიდან 32 სტატიაში (44.4%) პირდაპირ არის დასახელებული არასრულწლოვანის სახელი და გვარი, როცა გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და როცა მოზარდი სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ არის დამნაშავედ მიჩნეული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის დალი ოსეფაშვილის აზრით, არასრულწლოვანთა უფლებების მსგავსი ტიპის დარღვევები მხოლოდ უარყოფთად მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებასა და მის ფსიქიაზე.

„მედიის წარმომადგენლების მხირდან არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევამ, მათი ვინაობის დასხელებამ და სხვამ, შესაძლოა გამოიწვიოს სტიგმა, საზოგადოებიდან მათი გარიყვა, რამაც მოზარდის ფსიქიკას, შესაძლოა მძიმე კვალი დაამჩნიოს. დასავლურ ქვეყნებში, მსხვერპლად მოიაზრებენ იმ არასრულწლოვანებსაც, ვინც დანაშაულშია ეჭვმიტანილი. ამიტომაც მათაც ისეთივე დაცვა სჭირდებათ, როგორც მსხვერპლებს“.

2011 წლის ოქტობერში საქვლევ ობიექტებად აღებულ 6-ვე ქართულ გაზეთში დაიბეჭდა სტატია 53-ე საჯარო სეოლიდან ხულიგნობის ბრალდებით გარიცხულ

არასრულწლოვან მოსწავლეზე, რომლის ვინაობა ექვსივე გაზეთის უურნალისტის მიერ დასახელდა, მაშინ როცა გამოიძება სისხლის სამართლის 338-ე მუხლით ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და როცა მოზარდი სასამართლოს მიერ დამნაშავედ ჯერ კიდევ არ იყო მიჩნეული.

2011 წლის 18 ოქტომბერს გაზეთ „რეზონანსში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „აურზაური 53-ე სკოლაში, ძეველბიჭობის ბრალდებით 2 მოსწავლე გააგდეს“. სტატიაში უურნალისტი მარი ოთარაშვილი სტატიას 53-ე სკოლის უკვე შოფილი მოსწავლის ციტატით იწყებს და ამით უფრო მეტ სენსაციურობასა და სიმძაფრეს მატებს ამბავს: „**რა სისულელა! რა გინება და რა მუქარა!** ეს კაცი პირდაპირ გეუბნებით იტყუება!“. ამის შემდეგაც სტატიის ავტორი აღწერს 53-ე სკოლის წინ მოსწავლეებისა და მშობლების მიერ გამართულ აქციას, რომლებიც მიხეილ ალექსიძის სკოლიდან გარიცხვის ფაქტს აპროტესტებენ. სტატიას თან ერთვის აქციის მიმდინარეობისას გადაღებული ფოტო, სადაც კარგაც ჩანან სკოლის კარიბჭესთან მდგარი აქციის მონაწილე არასრულწლოვანი მოსწავლეები. სტატია დაბალანსებულია, უურნალისტი ჩაწერილი პყავს როგორც რამდენიმე მოსწავლე და მათი მშობლები, რომლებიც ალექსიძის სკოლიდან გაგდებას უსაფუძლოს უწოდებენ, ასევე სკოლის დირექტორი- ტატო შავშიშვილიც, რომელიც მოსწავლეს გარეკანონის დაღვევასა და მასწავლებლების შეურაცხყოფის მიუწებაში ადანაშაულებს. მართალია, სტატიაში ბალანსი დაცულია, თუმცა საბოლოოდ მკითხველისათვის პასუხაუცემელი რჩება არიან თუ არა ეს ბავშვები დამნაშავეები, რადგან სტატია მხოლოდ და მხოლოდ მონაცემს ეფუძნება და არანაირ ფაქტობრივ მასალაზე არ არის ის აგებული. სტატიას კი უურნალისტი ასე ასრულებს:

„**მშობლები და მოსწავლეები მსგავსი ტიპის საპროტესტო აქციების გამართვას მომავლშიც აპირებენ, თუმცა რამდენად გაგრძელდება მათი საპროტესტო გამოსვლა ეს გაურკვევლია, რადგან გუშინვე გავრცელდა ხმები, რომ ასეთ შემთხვევაში სკოლაში საეცრაზმი შევა**“.

2011 წლის 4 ნოემბრის გაზეთ „რეზონანსის“ სტატიაში სათაურით „**12 წლის მოზარდმა შემთხვევითი გასროლის საკუთარი დედა მოკლა**“

„**ინცინდენტი 2 ნოემბერს დაახლოებით 23:00 სთ-ზე ზურაბ ჭანტურიას ოჯახში მოხდა. 12 წლის ბაგან ჭანტურიამ სანადირო თოფი იპივა, ტყვიები**

ჩააწყო და შემთხვევითი გასროლით საქუთარი დედა მოკლა- განაცხადეს ტყვარჩელის მიღიციის განყოფილებაში”.

21-27 ნომერმბერი, 2011, გაზეთი “ქრონიკა”- “ 151-ე სკოლაში მასწავლებელმა ისე სცემა მოსწავლე, ბავშვს თავის ქალას ტრავმა დაუფიქსირდა”

“როგორც გავარკვიე, მეცხრეულასელი ოთარ საზანდრიშვილი ისტორიის მასწავლებელმა მაია დახუნდარიძემ სცემა”.

(3). არასრულოვანთა დანაშაულის შესახებ გამოქვეყნებული 72 სტატიიდან, 3 (4.2%) სტატიაში აღწერილია ბრალდებულთან დაკავშირებული ისეთი დეტალები, რომელიც მოზარდის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა მიუხედავად იმისა, რომ მათი ვინაობა სტატიაში არ არის დასახელებული.

მაგალითად, 2011 წლის 4 ოქტომბერს გაზეთ “ალიაში” დაიწერა სტატია სათაურით- “18 წლის გოგონა ოჯახს ძალადობაში ადანაშაულებს”. სტატიაში საუბარია 18 წლის მოზარდზე, რომელიც საქუთარ მშობლებს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს, რაც მისივე თქმით სახლიდან წასვლის მიზეზი გახდა. მართალია, სტატიაში გოგონას ვინაობა არ არის დასახელებული, მაგრამ გეხვდება ისეთი დეტალები, რაც დაზარალებული გოგონას იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად, სტატიაში ვკითხულობთ:

“ მოზარდი მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩას მკიდრია, თუმცა დროებით სოფელ ლეხაინდრაუში იმყოფება.. გოგონას განცხადებით, ვინმე ძიძიგური მშობლებმა ძალით მიუყვანეს, ვისზეც გათხოვებსაც აიძულებდნენ... 27 სექტემბერს გოგონა ბებიასთან ერთად მარტვილიდან ფოთში წავიდა, 28 სექტემბრის შემდეგ კი ის არავის უნახავს”.

რაიონისა და სოფლის, ასევე გოგონას დროებითი ადგილსამყოფელის დასახელება მისი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, გარდა ამისა, არანაირი ოფიციალური კომენტარი არ არის მოყვანილი სტატიაში ამ ფაქტთან დაკავშირდით და შესაბამისად ისმის კითხვა, რა არის ამ სტატიის გამოქვეყნების მიზანი, წარმოადგენს ის საზოგადოების ინტერესის საგანს, მაშინ როცა მქითხველი დასკვნა ვერ გამოაქვს თუ რა მოხდა სინამდვილეში- ვინ არის მართალი- არასრულწლოვანი გოგონა თუ მისი მშობლები?!

ასევე გაზეთ “ქრონიკაში” 2012 წლის 23 იანვარს დაიბუჭდა სტატია სათაურით- “ ეგ იყო ვამპირი, მართალს გეუბნებთ, ჩემი სისიხლი დალია”. სტატიაში არასრულწლოვანი გოგონა, როგორც თვითონ უვება, ბავშვიდიდან გახდა ძალადობის

მსხვერპლი, ჯერ მამისაგან შემდეგ კი სქოლაში თანაქლასელებისაგან. შემზარავი სტატია მხოლოდ ამ გოგონას მონათხრობს ეყრდნობა და მასში არ არის არანიარი ფაქტი მოცემული. გარდა ამისა, სტატიას თან ახლავს 2 ფოტო, ერთზე გოგონაა გამოსახული, (დაფარული თვალებით) რომელსაც ხელები აქვს დაბმული, ხოლო მეორე ფოტოზე ჩანს ადამიანის კბილები. ეს 2 ფოტო ამ შემზარავ ისტორიას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრება და სენსაციურობას მატებს. მართალია, ამ სტატიაშიც არ არის გოგონას ვინაობა დასახელებული, მაგრამ ვხდებით ისეთი ტიპის დეტალებს, რაც მისი ვინაობის კონფიდენციალურობას გარკვეულ წილად საფრხეს უქმნის.

“თბილისიდან წამიუგანეს მამიდასთან, სქოლა გამოვიცვალე, თელავში გადმომიუგანეს სასწავლებლად, იქ დაგამთავრე მე-2 სქოლა” ერთი შილდელი ბიჭი მოღიოდა ჩვენთან სტუმრად და იმას მოვეწონე, იმისგან ფეხმძიმელ დავრჩი.

(4). რაოდენობრივი კვლევის შედეგად გაირკვა რომ 6 თვის გამავლობაში “რეზონანსში”, “ალიაში”, “ასავალ-დასავალში”, “ქრონიკაში”, “24 საათსა” და “კვირის პალიტრაში” არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ გამოქვეყნებული 72 სტატიდან 10 სტატია (13.9%) თან ახლავს არასრულწლოვანი ბრალდებულის ან დაზარალებულის ფოტოსურათი, რომელიც მისი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. როგორც აღმოჩნდა, რიგ შემთხვევებში ქურნალისტები არაფრად აგდებენ ეთიკის ნორმებსა და ბავშვის კეთიდღეობას და მის ფოტოსურათს სტატიასთან ერთად აქვეყნებენ.

ეთიკის ქარტიის მე-8 მუხლი, რომელიც უშუალოდ არასრულწლოვნებს ეხებათ, ფოტოსურათებზეც ამახვილებს უურადღებას:

“უურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მუჟურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება”.

გაზეთ “ქრონიკის” 2012 წლის 30 იანვარი-5 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით **“მე-12 კლასები ობოლი ბიჭი დეიდის მსხვერპლი გახდა?!”**. სტატიის ავტორი გელა ზედელაშვილი 16 წლის საბა რურუას ისტორიას მოგვითხოვს, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ საკუთარი დეიდის

ფიზიკური,მორალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა. სტატიაში უწინადისტი გეთავაზობს როგორც საბას, ასევე მისი დეიდისა და ადვოკატს ქომენტარს. სტატიაში საბას დეიდა ძალადობის ფაქტს ამსოდიტურად გამორიცხავს . გარდა იმისა რომ უწინადისტი სტატიაში ასახელებს 16 წლის მოზარდის ვინაობას, აქვეყნებს მის ფოტოსურათსა და საცხოვრებელი ადგილის მისამართს, მას სტატის ბოლოს საკუთარი დასკვნებიც გამოაქვს:

” პო და მას შემდეგ რაც საბა რურუამ უმაღლობა გამოიჩინა (ის ახლა გლდანში ცხვორობს ნათესავთან, მე-12 კლასშია), ია და გია სპანდერაშვილებმა მობილური ტელეფონი გათიშეს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტრეფიკინგთან. სასამართლო პროცესი 30 იანვარს გაიმართება..”

ასევე გაზეთ “კვირის პალიტრაში” 2011 წლის 19-25 დეკემბრის ნომერში დაიბჭდა სტატია სათაურით **“თქვენ ნაძირლებო, ვინც ეს ჩაიდინეთ, ვერ დამაშინებთ”**. სტატიაში საუბარია გია ცაგრეიშვილის არასრულწლოვანი შვილის ცემის ფაქტზე, სადაც დაზარალებული არასრულწლოვანის ფოტო სურათია გამოქვეყნებული. სტატია მხოლოდ გია ცაგარეიშვილის ქომენტარზეა აგებულია და არ არის წარმოდგენილი მასში არანაირი ფაქტობრივი ინფორმაცია და არც მეორე მხარე.

(5). რაოდენობრივი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ 6 თვის განმავლობაში არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ გამოქვეყნებული 42 სტატიიდან, რომლებზეც თვითონ გაზეთის უწინადისტებმა იმუშავებს და სადაც ისინი თვითონ იყვნენ ფაქტებისა და ინფორმაციის ძიების პროცესში ჩართულნი, 20 სტატია (47.6%) არ არის დაბალანსებული. სტატიებში ვხვდებით მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას და მასში არ არის ნაჩვენები მეორე მხარე, შესაბამისად მკითხველს უჭირს საბოლოო დასკვნის გამოტანა. ასეთ სტატიებში, როგორც უკვე ვახსენეთ, არ არის ფაქტები მოყვანილი, რაც საბოლოო დასკვნის გამოტანის საშუალებას არ აძლევს მკითხველს. უწინადისტი კმაყოფილდება მხოლოდ დაზარალებული ან ბრალდებული მოზარდის მშობლის ან მისი ახლობლის მონაცემით და ამაზე აგებს მთლიანად სტატიას.

მაგალითად, გაზეთ **“ასავალ-დასავალის”** 2011 წლის 12-18 სექტემბრის ნომერში დაიბჭდა სტატია სათაურით- **“კახა ჯამალაშვილის ტრაგედია ცალკეული**

შემთხვევა აღარ არის, ნასამართლევ ახალგაზრდებს ციხეში შებრუნება ემუქრებათ!”. სტატიის ავტორი ზაზა დავითაძე საუბარობს 15 წლის კახა ჯამალაშვილზე, რომელიც ტელეფონის ქურდობისათვის გაასამართლეს და ციხიდან 3 წლიანი პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ ციფრიარადის (დანის) უკანონო ტარებისათვის კვლავ დააპატიმრეს. როგორც არასრულწლოვანის დედა ყვება, მის შეიღს დანა მხოლოდ საკეპის დაჭრის მიზნით პქონდა ამოდებული და ისიც მას არ ექუთვნოდა, შესაბამისად შეიღის პატიმრობას ის უკანონოდ მიიჩნევს. მთელი სტატია აგებულია მოხარდის დედის ნანა აფციაურის მონაცემზე და სტატიის ავტორი დასკვნით ნაწილსაც პატიმრის დედის ციტატით ასრულებს.

” როგორც ჩანს, მეაცრმა რეალობამ და გულცივმა ჩინოვნიკებმა ეს ადამიანი კვლავ ციხეში შესაბრუნებლად გაწირეს, ოჯახის შექმნის, შენარჩუნებისა და სიცოცხლით ტკბობის შესაძლებლობა წაართვევეს! თუ ახალგაზრდა ნასამართლევია, თუნდაც აღარაფერს აშავებდეს, მას გარეთ არ აჩერებენ და ცხოვრებას სამუდამოდ უნგრევენ”.

როგორც ჩანს, ქურნალისტს ასეთი დასკვნები მხოლოდ კახა ჯამალაშვილის დედის მონათხრობის შემდეგ გამოაქვს, რადგან მას არანაირი გამოძიება არ აქვს ჩატარებული. (სტატიაში არც რაიმე ფაქტობრივ მასალას ან რომელიმე თვიციალური პირის კომენტარს არ ვხვდებით). ისმის კითხვა, რატომ უნდა დავუჯეროთ კახას დედას, ან თვითონ ქურნალისტი რატომ ენდობა ამ ადამიანს ისე, რომ გამოძიების გარეშე კახას უდანაშაულოდ მიიჩნევს?

(6). ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ 72 სტატიიდან 8 სტატიაში (11%) ქურნალისტი იყენებს ისეთ ფრაზებს, ან ისეთი ლიდით იწყებს სტატიას, რაც უფრო მეტ სიმძაფრეს მატებს სტატიას. ვხვდებით ისეთ სათაურებსაც, რომელიც სენსაციურს ხდის სტატიას, რითაც ქურნალისტები, როგორც ჩანს, ცდილობენ ”შეიტყუონ” მკითხველი.

ასე მაგალითად, გაზეთ ”ქრონიკის” 2011 წლის 3-9 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდა სტატია არასრულწლოვან ძალადობის მსხვერეპლ გოგონაზე სათაურით- ” მე რომ გავთხოვდი, დედამ წყველით ამიკლო მითხრა საშინელი სიტყვები, რომელიც ერთ-ერთზე ამიცხადდა: გოგო არ გელირსოს და მუცელში გაგიწყალდეს შენი შვილიო”.

ასევე, 2012 წლის 15 იანვარს გაზეთ ”24 საათში” გამოქვეყნდა სტატია სათაურით ”გახსნილი მკვლელობა”. სტატია მოლიანად უკრდნობა ახალი ამბების სააგენტო-

“ინტერპრესნიუსს”, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას აქვეყნებს. სტატიაში საუბარია ოთარ ჭიდაძის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაზე, რომელშიც ბრალდებული 18 წლის ანდრო გელოვანი სამართალდამცავებმა დააკავეს. მიუხედავად იმისა რომ არასრულწლოვანი ჯერ დამნაშავედ არ არის სასამართლოს მიერ მიჩნეული, და როგორც სტატიაში წერია გამოძიება კვლავ მიმდინარეობს, უკრნალისტი ცდილობს სენაციურობა შემატოს ამბავს და ამსოდიტურად განსხვავებულ სათაურს სთავაზობს მკითხველს, გარდა ამისა, სტატიის ავტორი ურდნობა მხოლოდ შ.ს.ს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და არ ცდილობს თავად ჩაერთოს უკრნალისტური გამოძიების პროცესში.

” გამოძიების ინფორმაციით, ანდრო გელოვანმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით თავის არეში დაჭრა 18 წლის ირაკლი ფოთოლაშვილი, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა... გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108 და 336 მუხლებით მიმდინარეობს”.

(7) კვლევამ აჩვენა, რომ 72 სტატიიდან, რომელიც არასრულწლოვანთა დანაშაულს ეხება, 18 სტატიაში (25%) უკრნალისტი დაუფარად აფიქსირებს საქართველოს მოსახურებებსა და დამოკიდებულებას კონკრეტული პიროვნებისა თუ მოლვენის მიმართ. სტატიაში ვხვდებით ისეთ ირონიულ ფრაზებს, როგორიცაა:

• თბილისის 94-ე საჯარო სკოლამ პირველად ჩვენი ყურადღება მაშინ მიიპყრო, როცა მისი ერთ-ერთი ორიენტაციაარეული მოსწავლე ჯგუფური გაუპაიურების მსხვერპლი გახდა”, “პროგრესულად” მოაზროვნე დირექტორის პრობლემებთან მიბრუნებას ნამდვილად აღარ ვაპირებდი, რომ არა...”, “ეს მისია საკუთარ თავზე „წლის საუკეთესო” და ლირსების ორდენოსანმა დირექტორმა აიღო” (“რა ხდება 94-ე სკოლაში?” გაზეთი “ალია” 2011 1-5 სექტემბერი, 2011).

“თუმცა როგორც ჩანს, პრობლემა ამით არ დასრულებულა, ვიდაცას მსგავსი იდეები ისევ მოუვა თავში, ამიტომაც, როგორც ყველა ცივილიზაციულ ქვეყანაში შესაბამისი კანონების შიღება აქაც აუცილებელია”. (საავადმყოფოს პერსონალს 6 თვის წეილის დაღუპვაში ადანაშაულებენ” გაზეთი “ალია” 1-5 სექტემბერი, 2011).

“დამძიმებული გულით წამოვედი პრობაცის სამინისტროდან. შტატიას კი იმით დავასრულებ, რითაც დავიწყე: ჩვნი საქმე ისე ყოფილა სადაური სად წაგიყვანს, ეგ

მხოლოდ მისი ნება ყოფილა". ("რა ახალი აქრძალვები დააწესა კალმახელის უწყებაში?" გაზეთი "ალია" 24-28 ნოემბერი, 2011).

"რა თქმა უნდა , სასამართლო ტენდენციურად წარიმართა და "პომიდორას" პირველი ჩვენება მხედველობაში არ მიიღო". ("პომიდორას დაჭრა უდანაშაულო მოზარდს დაბრალდა" გაზეთი "ასავალ-დასავალი, 9-15 იანვარი, 2012).

"მკვლელობა , რომელიც იმ დროს ბათუმში მოხდა, როცა სააკაშვილს, გარშალომიძე ფოიერვერკებით ხვდებოდა.." ("ჩემი 18 წლის ბიჭი სასიკვდილოდ რომ დაჭრეს, ამ დროს სააკაშვილი რადაც შენობას ხსინდა და თქვა, -დამნაშავეები უნდა დაისაჯონ! ასე სჯიან მკვლელებები?!" გაზეთი "ქრონიკა", 28.11-01.12, 2011).

"ამ მართლაც წყველაკრულვიანი ისტორიის წაკითხის შემდეგ, თუ კი იღიას უნივერსიტეტის რექტორი და "ნაცხელისუფლების" ერტ-ერთი მთავარი იდეოლოგი-პროფესორ გიგი თვეზამე ან რომელიმე მისი ხელისბიში ჩვენთან საუბარს მოიწადინებენ, ინტერესით მოვალეობით". ("სეანდალი იღიას უნივერსიტეტში" გაზეთი "ქრონიკა", 19-25 დეკემბერი, 2011).

"სისხლი სამართლის კდოქქსში ერთი "საინტერესო" ცვლილება შეიტანეს" (გაზეთი "კვირის პალიტრა", "რატომ ამბობს სასამართლო უარს ფირის გახსნაზე" 27.02-4.03, 2012).

(8). ასევე ერთი ტენდენცია, რომელიც ქართულ ბეჭდურ მედიაში არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ გამოქვეყნებული სტატიებიდან ჩანს, არის უკრნალისტების მხრიდან განზოგადებული ფრაზების გამოყენება, რომელიც სტატიას ნაკლებად სანდოს ხდის მკითხველისათვის. 22 სტატიაში (30%) ხვდებით ისეთ ფრაზებს, როგორიცაა:

"ერთ-ერთი ვერსიით" "მეორე ვერსიით", კულუარული ინფორმაციით", "როგორც ამბობენ". (" 55-ე სკოლაში მომხდარი წეუბის დატაღები" გაზეთი "ქრონიკა", 17-23 ოქტომბერი, 2011).

"დანამდვილებით ვერ გეტყვით, რისთვის იყოპრობაციაზე გოგბერაშვილის მამა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის პირობით სასჯელს იხდიდა ნარკოტიკების მოხმარებისთვის", "ქრონიკას უყვებიან, რომ...", "იმ პერიოდის საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით" .

(“რა გახდა რუსთაველზე მომხდარი მქედალობის რეალური მიზეზი?!” გაზეთი „ქრონიკა, 24-30 ოქტომბერი, 2011).

“მეზობლების ინფორმაციისთვე”, “როგორც თვითმხილველები აცხადებენ”, “ქალაქში ამბობენ.., “ამ ინფორმაციას მეზობლები არ ადასტურებენ”.. (“მქედალობაში ეჭვმიტანილებზე ძებნა გამოცხადდა” გაზეთი “24 საათი”, 19 ოქტომბერი, 2011).

“მედიაში გაუცელებული ინფორმაციის მიხედვით, ნათია ფოთიდან ოჯახს დაუკავშირდა და აცნობა რომ ის გათხოვებას აპირებდა, თუმცა როგორც გაირკვა, გოგონა ოჯახიდან ბიჭის გამო კი არა, მშობლების ძალადობის გამო წავიდა”. (“18 წლის გოგონა ოჯახს ძალადობაში ადანაშაულებს”, გაზეთი “ალია”, 4-5 ოქტომბრი, 2011).

დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ, საქართველოს კანონმდებლობით მედიის წარმომადგენელთა საქმიანობა და მათი მხრიდან ბავშვთა საკითხების გაშუქება სრულყოფილად არ რეგულირდება კანონის დონეზე და ის მხოლოდ კანონქენიდებარე აქტებს ეფუძნება, რომლებიც გაბნეული სხვადასხვა კანონებსა თუ კოდექსებში. რადგან რეაგირების მექანიზმი ვრცელდება მხოლოდ მაუწყებლებზე და ასეთი ტიპის შეზღუდვა არ ეხება ბეჭდურ მედიას, ძალიან ხშირად ვხვდებით ბავშვთა უფლებების დარღვევას ქართულ პრესაში. როგორც კვლევამ აჩვენა, მხოლოდ “პროფესიული სტანდარტი” და “ეთიკის კოდექსი” ქვეყანაში არსებულ ვითარებას ვერ ცვლის.

თამარ ქორმაია:

“ სასამართლოში ჩივილი იმ შემთხვევაშია დაშვებული, თუ მშობელი ჩათვლის რომ მისი შვილის მიმართ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თუმცა თუ კი ბავშვის პატივი და ღირსება შეიღოახა, რაც ქართულ მედია სიკრცეში ყველაზე ხშირია, აქ უკეთ სირთულეს ხვადებით, რადგან მშობელმა ვერ იდაგებს საქუთარი შვილის ღირსებასა და პატივზე, ხოლო არასრულწლოვანი არ არის სრულქმედუნარიანი, რომ სასამართლოში წარადგინოს სარჩევი, ამიტომ აქ ჩნდება დიდი ვაკუუმი”.

კვლევამ აჩვენა, რომ გაზეთების 44%-ში სახელდება ბრალდებული არასრულოვანის ვინაობა და ირდვევა მათი უფლებები, მაშინ როდესაც ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ:

“ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის ქანონმდებლობა ან ბრალი ედება მის დარღვევაში, უნდა პქონდეს გარანტია მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემისა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე”.

ასეთი ტიპის სტატიები ზიანს აუქნებს ბავშვების რეპუტაციას და არდვევს მათ უდანაშაულობის პრეზუმციას, როცა ისინი სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ არიან მიჩნეული დამნაშავეებად.

ჩემ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აშკარა გახადა, რომ ქართულ ბეჭდურ მედიაში არ არსებობს ერთიანი პროფესიული სტანდარტები, რასაც პრესაში მომუშავე ჟურნალისტები ერთნაირად სცემენ პატივს. კვლევამ აჩვენა, რომ ბეჭდურ მედიაში არსებობს სტერეოტიპული მიდგომა ბავშვების მიმართ. სტატიებში ფაქტი და კომენარი ერთმანეთისგან არ არის გაიჯნული, ჭარბობს დაუზუსტებელი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია, ბავშვებზე საუბრისას ჟურნალისტები არ ერიდებიან განზოგადებული ფრაზების ხმარებას და ნაელებად მიმართავენ სიტუაციის სიღრმისეული ანალიზს.

კიდევ ერთი ტენდენცია, რაც ქართულ ბეჭდურ მედიაში შეიმჩნევა არის კონფიდენციალური წყაროების მიერ მიწოდებული ინფორმაციის ძალიან ხშირი გამოყენება, რაც ნაელებად დამაჯერებელს ხდის თვითონ სტატიას. ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტმა კარგად უნდ აუხსნას მკითხველს, რატომ არის სანდო ამგვარი წყაროსაგან ინფორმაციის მოპოვება და საიდან იცის წყარომ ამ ინფორმაციის შესახებ, რადგან შესაძლოა ანონიმურ წყაროს თვითონ პქონდეს ასეთი ამბის გავრცელების პირადი ინტერესი. (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2010).

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ სტატიების 47% არ არის დაბალანსებული და კონკრეტული დანაშაულის შემთხვევის გაშუქება მხოლოდ ერთი წყაროს საფუძლევზე ხდება. სტატიების 11% ჟურნალისტები ცდილობენ კანონის დამრღვევი ან ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესახებ ინფორმაციის სენსაციური კუთხით

გაშუქებას ,რითაც ისინი ცდილობენ მეტი მკითხველის მოზიდვას და არა ბავშვთა უფლებების დაცვას.

ფაქტია, რომ ქართულ ბეჭდურ მედიაში ბავშვთა დანაშაულის საკითხებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას ძალიან ხშირია სხვდასხვა ტიპის დარღვევები. არსებული სიტუაციის გამოსწორებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება იქამდე, სანამ ქურნალისტები თვითონ არ გააცნობიერებენ რომ ეთიქური და პროფესიული სტანდარტების დაცვა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ქვეყანაში ქურნალისტიკა განვითარდეს და ზიანი არ მიადგეს საზოგადოების თუდნაც ერთ წევრს მაინც.

ასეთი მძიმე სიტუაციის ერთადერთი გამოსავალი დალი ოსეფაშვილის აზრით სწორედ ეს არის.

"უნდა ამაღლდეს ქურნალისტთა პროფესიონალიზმი. მათ უნდა შეისწავლონ სიღრმისეულად თუ როგორ უნდა გააშუქონ ეს ფაქტიზი თემა ეთიკურად და კორექტულად, ისე, რომ არ შელახონ ბავშვთა უფლებები. ეს ბუნებრივია, გარკვეულ დროს მოითხოვს".

ქურნალისტები და ზოგადად მედიის წარმომადგენლები თვითონ უნდა იყვნენ მოწადინებულნი, რომ გაეცნონ ყველა იმ კანონს, პროფესიულ სტანდარტსა თუ ეთიკის კოდექსს, რითაც საქართველოში ბავშვთა უფლებები რეგულირდება და იზრუნონ მათი უფლებების დაცვაზე. მათ საზოგადოების წინაშე ეს პასუხებიმგებლობააკისრიათ და ის უნდა შეასრულონ კიდევ. მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული კანონების, პროფესიული სტანდარტებსა თუ ეთიკის კოდექსის პოპულარიზაციისათვის აუცილებელია საქართველოში საინფორმაციო-საგანმანათლებო კამპანიის ჩატარება, რაც პირველ რიგში ქურნალისტურ წრეებში უდნა დაიწყოს.

ინტერვიუები:

1. დაღი თხევაშვილი- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
2. თამარ კორძაია-საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი.

განეთები:

1. “რეზონანსი”
2. “ალია”
3. “ახალგაზრდა-დასავალი”
4. “ქრონიკა”
5. “24 საათი”
6. “ქვირის პალიტრა”

ბიბლიოგრაფია

1. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. (2011). ბავშვთა საკითხების ეთიკური და პროფესიული გაშექების მხარდაჭერა ქართული მედიაში.

<http://cdi.org.ge/geo/projects/media?info=780>

2. საქართველოს ქურნალისტური ეთიკის ქარტია. (2009). ეთიკის ქარტია

<http://qartia.org.ge/about/>

3. ქორიძე, ზ. (2008). ბავშვთა საკითხის გაშექება და მედია ეთიკა საქართველოში. (გვ1; გვ.10).

http://www.mediaeducation.ge/index.php?option=com_content&view=category&layout=blog&id=38&Itemid=14

4. დანელია, ნ. (2011). ბავშვთა საკითხების გაშექმა ქართულ სატელევიზიო ძეგლის ში. (გვ.8).

http://www.mediaeducation.ge/index.php?option=com_content&view=category&layout=blog&id=38&Itemid=14

5. მედია განვითარების ფონდი. (2002). მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. (გვ.1, გვ.22).

<http://www.mdfgeorgia.ge/index.php?menuid=18&lang=1>

6. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გებ-გვერდი. (2001). მაგნიტუდის გადამდებისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ.

http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=261

7. Human Rights. (2007). კანონმდებლობის არასრულწლოვანთა დასაცავად.

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6696&lang=geo>

8. მედია განვითარების ფონდი. (2002). პროფესიული სტანდარტები.

<http://www.mdfgeorgia.ge/contentimage/legislation/MediisProfesiuliStandartebi.pdf>

9. იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გებ-გვერდი. (2001). ბავშვთა უფლებები.

http://www.justice.gov.ge/index.php?sec_id=240

10. UNICEF. (2011). ძეგლის ბავშვთა საკითხების გაშექმის ეროვნული და საერთო მორისონ სტანდარტები. (გვ.5-7). თბილისი, საქართველო: UNICEF.

- 11.** თავისუფლების ინსტიტუტი. (2004). მედია კორა და ანგარიშვალდებულების სისტემები. (გვ.12- საქართველო, თბილისი: OSCE
- 12.** თავისუფლების ინსტიტუტი. (2003). ქურნალისტური ეთიკა და თეორებულირების მექანიზმები. (გვ.7-15). საქართველო, თბილისი: თავაისუფლების ინსტიტუტი.
- 13.** ჩაგანავა, დ. (2011, 3 მარტი). პირების აზრი მნიშვნელოვანია.
<http://www.tavisupleba.org/content/article/3541387.html>
- 14.** მთვილიშვილი, გ. (2009.20 ოქტომბერი). ქართული მედია არასრულოვანობა უფლებებს ხშირად არღვევს.
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=7944&lang=geo>
- 15.** ბელი, ჯ. (2005). Planning and conducting interviews. (გვ. 157-160). *Doing your research project*. ინგლისი, ბერგშიარი : Open University Press.
- 16.** ბერგერი, ა. ა. (2000). Interviews (გვ.120-124). ინგლისი, ლონდონი: SAGE.
- 17.** რობსონი, ს. (2007). Selecting the methods. (გვ.76-90). *How to do a research project*. ავსტრალია: Blackwell Publishing.
- 18.** Caucasus research resource centre (2009). *Georgia comprehensive media research: summary findings*.
- http://www.epfound.ge/files/geo_media_research_report_en_1.pdf

- 19.** Douglas, G. (2003). *Media violence and children*. (გვ.50-55). ამერიკის შეერთებული
შტატები, ვესტმორტი: Praeger Publishers.
- 20.** საქართველოს კურნალისტთა კთიას ქარტია. ხტატის ანალიზი. (2010).